საბაზო საფეხური

გაკვეთილი #1: მოთხოვნილებები და ეკონომიკა

40 წთ

ამ გაკვეთილზე მოსწავლეები იმსჯელებენ საჭიროებებსა და სურვილებზე, ხესურსების შეზღუდულობაზე და დაფიქრდებიან, როგორ ახიან ისინი თავიანთი ქმედებებით ჩართულნი ეკონომიკაში.

გაკვეთილის მიზნები

- მოსწავლეები ახდენენ მოთხოვნილებების - სურვილებისა და საჭიროების კლასიფიცირებას;
- მოსწავლეები გააცნობიერებენ, რატომ უწევთ გადაწყვეტილების მიღება;
- მოსწავლეები დაფიქრდებიან საკუთარ ჩართულობაზე ეკონომიკაში.

ტერმინები

მოთხოვნილება, საჭიროება, სურვილი, ხესურსი, შეზღუდულობა, ეკონომიკა, აღტეხნატიული დანახარჯი.

საჭირო მასალები

- 2 ფლიპჩარტის ფურცელი
- მარკერი
- ქაღალდის წებოვანი ლენტი ან ორმაგი წებოვანი ლენტი
- დანართი - საჭიროებისა და სურვილების ბარათები
- დანართი - ეკონომიკური ტერმინები - კედლის ბარათები და პასუხების ფურცლები თითოეული გუნდისთვის

მომზადება

- წინასწარ დახაზეთ ფლიპჩარტის ფურცელზე ვვვ ცხრილი.
- ამობეჭდეთ და გამოჭერით საჭიროებისა და სურვილების ბარათები დანართიდან.
- ფლიპჩარტის ფურცლის ზედა მხარეს დააწერეთ საჭიროებები, ქვედა ნაწილს - სურვილები. ორივეგან დატოვეთ სივრცე ბარათებისთვის. მიაკარით ცარიელ სივრცეებში ქაღალდის წებოვანი ლენტები (ან ორმაგი წებოვანი ლენტი) ისე, რომ მოსწავლეებმა ზედ ბარათების დაწებება შეძლონ.
- ამობეჭდეთ და გამოჭერით ეკონომიკური ტერმინების ბარათები დანართიდან და გაკვეთილის დაწყებამდე გააკარით საკლასო ოთახში სხვადასხვა ადგილას.
- ამობეჭდეთ ეკონომიკური ტერმინების პასუხების ფურცლები თითოეული გუნდისთვის.

სასარგებლო რესურსები

- სახელმძღვანელო - „ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერება სკოლებში“ VII კლ

დიფერენცირება

- გამოიყენეთ დანართი 1 -ის ადაპტირებული ვერსია სსსმ მოსწავლეებისთვის.

5 წთ

მასალა:

ფლიპჩარტზე წინასწარ დახაზული „ვვვ ცხრილი“;

მარკერი;

ქაღალდის წებოვანი ლენტი კედელზე მისაკრავად

შესავალი - ვვვ ცხრილი ეკონომიკისა და ფინანსების შესახებ

- აუხსენით მოსწავლეებს, რომ მომდევნო გაკვეთილებზე ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებზე ისაუბრებთ. დღევანდელი გაკვეთილი კი ეკონომიკის საბაზისო საკითხების გაცნობას დაეთმობა. თუმცა, სანამ გაკვეთილს დაიწყებდეთ, საინტერესოა თუ იციან, და რა იციან მოსწავლეებმა ეკონომიკისა და ფინანსების შესახებ. ამისთვის დაუსვით მათ კითხვა: რა იცით ეკონომიკისა და ფინანსების შესახებ? რა გაგიგიათ?

- სწრაფად მიიღეთ რამდენიმე პასუხი და ჩაწერეთ დაფაზე/კედელზე გაკრული ცხრილის პირველ სვეტში. ამის შემდეგ ჰკითხეთ: რა გინდათ იცოდეთ ეკონომიკისა და ფინანსების შესახებ? რა გინდათ გაიგოთ? სწრაფად მიიღეთ რამდენიმე პასუხი და ჩაწერეთ ცხრილის მეორე სვეტში.

- აუხსენით მოსწავლეებს, რომ ცხრილის მესამე სვეტს ეკონომიკისა და ფინანსების თემის დასრულების შემდეგ შეავსებთ: საინტერესოა, რას ისწავლიან ისინი ამ დროის განმავლობაში.

ეკონომიკა და ფინანსები		
ვიცი	მინდა **ვ**იცოდე	**ვ**ისწავლე

10 წთ

მასალა:

დანართიდან გამოჭრილი საჭიროებისა და სურვილების ბარათები;

მარკერი;

ფლიპჩარტის ფურცელი წარწერებით: „საჭიროებები“, „სურვილები“ და ზედ დაკრული წებოვანი ლენტით ბარათების მისაკრავად.

სავარჯიშო - სურვილებისა და საჭიროებების კლასიფიკაცია

- ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა სჭირდებოდათ ან უნდოდათ წინა დღიდან მოყოლებული ამ გაკვეთილამდე? სწრაფად მიიღეთ პასუხები რამდენიმე მოსწავლისგან. მაგალითად: წყალი, საკვები, ძილი, ტანსაცმელი, ტრანსპორტი, სასუსნავი, თამაში და ა.შ. აუხსენით, რომ ადამიანებს ყოველდღიურად უამრავი რამ გვჭირდება ან გვსურს და ეს ყველაფერი ჩვენი მოთხოვნილებებია, თუმცა მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ, აქედან რა არის საჭიროება და რა არის სურვილი. აუხსენით რას ნიშნავს თითოეული (იხ. დამატებითი ინფორმაცია). ახსნის პარალელურად, დაარიგეთ კლასში გამოჭრილი ბარათები (თითო მოსწავლეს თითო ბარათი).

- დასასრულს, სთხოვეთ მოსწავლეებს დაფიქრდნენ, მათ ბარათზე მოცემული სიტყვა საჭიროებაა თუ სურვილი და ფლიპჩარტზე შესაბამის ადგილას მიაკრან.

- შეაჯამეთ მოსწავლეებისგან მიღებული ინფორმაცია და ხაზი გაუსვით იმას, რომ ადამიანებს განსხვავებული მოთხოვნილებები აქვთ და ზოგჯერ ისიც შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ერთის სურვილი მეორის საჭიროება იყოს და პირიქით.

დამატებითი ინფორმაცია:

თითოეულ ჩვენგანს ყოველდღიურ ცხოვრებაში უამრავი რამ სჭირდება და სურს. დილით გვჭირდება საუზმე, ტანსაცმელი და ტრანსპორტი სკოლაში ან სამსახურში მისასვლელად, წიგნები და კალმები კი - სამეცადინოდ. ჩვენ ასევე გვსურს სასუსნავი, კინოში წასვლა და ფეხბურთის თამაში გასართობად, მოგზაურობა და დასვენება კი - ძალების აღსადგენად. ეს ყველაფერი ჩვენი მოთხოვნილებებია. თუმცა ამ მოთხოვნილებებიდან ზოგი რამ **საჭიროებაა,** ზოგი რამ - **სურვილი.**

საჭიროებაა ყველაფერი ის, რაც აუცილებელია ცხოვრებისათვის, ჩვენი ძირითადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად. საჭიროებაა საკვები, ჩასაცმელი, საცხოვრებელი სახლი, განათლება, ტრანსპორტი და ა.შ.

სურვილები კი არის ყველაფერი ის, რაც შესაძლოა აუცილებელი სულაც არ არის, მაგრამ გვინდა და სიხარულს გვანიჭებს. სურვილია მოგზაურობა, კინოში წასვლა, ახალი მობილური ტელეფონის ყიდვა და ა.შ. საჭიროებები და სურვილები ჩვენი **მოთხოვნილებებია.**

ადამიანების მოთხოვნილებები შეიძლება ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული იყოს. ამასთან, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ერთი ადამიანის სურვილი შეიძლება მეორისთვის საჭიროება იყოს ან პირიქით. მაგალითად, თუ ადამიანს სასწავლებელი ან სამსახური სახლთან ახლოს აქვს და ფეხით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით მარტივად შეიძლება მივიდეს, მაშინ მანქანა მისთვის სურვილი იქნება. ხოლო თუ ადამიანი მაგალითად, კურიერად მუშაობს, მაშინ მანქანა მისთვის საჭიროებაა, რადგან სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად სჭირდება.

10 წთ

სავარჯიშო სირბილში - ეკონომიკური ტერმინები

მასალა:

წინასწარ კედელზე გაკრული ეკონომიკური ტერმინების ბარათები დანართიდან;

პასუხების ფურცელი თითოეული გუნდისთვის.

- გაკვეთილის დაწყებამდე გააკარით ეკონომიკური ტერმინების ბარათები კლასში, სხვადასხვა ადგილას.
- დაყავით მოსწავლეები 3–ბავშვიან გუნდებად. გაითვალეთ თითოეულ გუნდში: 1–2–3!
- აუხსენით ბავშვებს, რომ ყველა მოსწავლე, რომელსაც N2 შეხვდა, იქნება „მწერალი“. დაურიგეთ N2–ებს პასუხის ფურცლები, და დარწმუნდით, რომ ყველა მათგანს აქვს კალამი.
- აუხსენით ბავშვებს, რომ ყველა ის მოსწავლე, რომელსაც N1 ან N3 შეხვდა, არის „მორბენალი“. მათი დავალებაა მიირბინონ კედელზე გაკრულ ბარათებთან, წაიკითხონ მათზე მოცემული ინფორმაცია და დაიმახსოვრონ. მათ არ აქვთ ამ ინფორმაციის ჩაწერის, ან ფოტოს გადაღების უფლება. მათ უბრალოდ უნდა დაიმახსოვრონ წაკითხული ინფორმაციის შინაარსი (განუმარტეთ ბავშვებს, რომ არ არის აუცილებელი ინფორმაციის სიტყვა-სიტყვით დამახსოვრება, მთავარია წაკითხულის გააზრება). შემდეგ, „მორბენალები“ უნდა გაიქცნენ თავიანთი გუნდის „მწერალთან“ და მიაწოდონ მას ბარათზე მოცემული ინფორმაცია. „მწერალმა“, თავის მხრივ, უნდა ჩაიწეროს ეს ინფორმაცია პასუხის ფურცელზე.
- მას შემდეგ, რაც ყველა გუნდი ჩაიწერს 5-ვე ტერმინს, გადადით ინტერაქციულ მინი ლექციაზე, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხავთ ტერმინებს.

10 წთ

მასალა:

არა

● ინტერაქციული მინი ლექცია - ჩვენ და ეკონომიკა

- აუხსენით მოსწავლეებს, რომ ადამიანების საჭიროებები და სურვილები შეუზღუდავია, რესურსები კი შეზღუდული. ამიტომ, გვიწევს გადაწყვეტილების მიღება და გარკვეული შესაძლებლობების ხელიდან გაშვება. შესაბამისად, ჩვენ ვიღებთ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, როგორ გავანაწილოთ ჩვენი შეზღუდული რესურსები (იხ. დამატებითი ინფორმაცია).
- **კითხვები ინტერაქციისთვის:** რა არის რესურსი? როგორ გესმით შეზღუდულობა? რას ნიშნავს გადაწყვეტილების მიღება? რა გადაწყვეტილების მიღება შეიძლება დაგვჭირდეს ჩვენ? რა გადაწყვეტილებებს იღებენ კომპანიები? არის თუ არა ეს ეკონომიკური გადაწყვეტილებები? რაზე შეიძლება მოგვიწიოს უარის თქმა, როდესაც რაიმე კონკრეტულ გადაწყვეტილებას ვიღებთ? რა არის ალტერნატიული დანახარჯი? რა არის ეკონომიკა?

დამატებითი ინფორმაცია:

ჩვენი სურვილები და საჭიროებები, ანუ მოთხოვნილებები უსასრულოა, მაგრამ მათი შესრულება ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ეს იმიტომ, რომ ჩვენ გარშემო არსებული რესურსები ხშირად **შეზღუდულია,** მწირია, ანუ არ არის საკმარისი.

რა არის **რესურსი?** რესურსში იგულისხმება როგორც ბუნებრივი რესურსები, მაგალითად, წყალი და სუფთა ჰაერი, ისე დრო, ენერგია, კონკრეტული ნივთები - მაგალითად, წვენი ან რძე, რომელიც ამ მომენტში გვაქვს მაცივარში და ფული. **შეზღუდულობა** კი ნიშნავს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ ყველაფერი, რაც გვინდა, ვინაიდან ჩვენთვის სასურველი რესურსი შეზღუდულია, ანუ სასრული რაოდენობით გვხვდება.

სწორედ ამიტომ, ჩვენ გვიწევს რამდენიმე შესაძლო ვარიანტიდან (ალტერნატივიდან) ერთ-ერთის არჩევა, ანუ **გადაწყვეტილების მიღება.** მაგალითად, თუ გვაქვს მხოლოდ 2 ლარი და გვინდა როგორც შოკოლადი, რომელიც 1 ლარი და 20 თეთრი ღირს, ისე იოგურტი, რომელიც 1 ლარი და 80 თეთრი ღირს, მაშინ ჩვენ გვაქვს შეზღუდული რესურსი (ამ შემთხვევაში ფული) და უნდა მოვიფიქროთ, თუ რომელი სასუსნავის ყიდვა გვირჩევნია. სამწუხაროდ, ორივე ვერ გვექნება. ასეთი მაგალითიც განვიხილოთ: თუ სკოლის შემდეგ გვაქვს თავისუფალი 2 საათი და გვინდა როგორც ფეხბურთის თამაში, ისე კინოში წასვლა, მაშინ უნდა გადავწყვიტოთ, როგორ გადავანაწილოთ ჩვენი შეზღუდული რესურსი (ამ შემთხვევაში, დრო) - წავიდეთ კინოში თუ ფეხბურთის სათამაშოდ? რა თქმა უნდა, ჩვენ შეიძლება ორივეთი დავკავდეთ, მაგრამ რადგან მხოლოდ 2 საათი გვაქვს, მოგვიწევს კინოდან ადრე გამოსვლა, ან ფეხბურთის თამაშის დროზე ადრე შეწყვეტა. ორივეს ერთდროულად ვერ გავაკეთებთ.

ალტერნატიული დანახარჯი - არის ის, რაც უნდა დავთმოთ რაიმეს მისაღებად; ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა, რომელიც გვაქვს მაშინ, როცა ერთ ალტერნატივას ვირჩევთ და სხვა ალტერნატივებზე უარს ვამბობთ. ჩვენს მაგალითში, როდესაც ვირჩევთ ფეხბურთის თამაშს, მისი ალტერნატიული დანახარჯი არის ფილმის ყურება, რომელზეც უარი ვთქვით.

რესურსების გადანაწილება არა მარტო ადამიანებს, არამედ კომპანიებსა და მთავრობებსაც უწევთ. **ეკონომიკა** მეცნიერებაა, რომელიც იმას შეისწავლის, თუ როგორ ანაწილებენ ადამიანები, კომპანიები და მთავრობები შეზღუდულ რესურსებს - ანუ როგორ იღებენ ისინი გადაწყვეტილებებს შეზღუდული რესურსების პირობებში.

სწორედ ისე, როგორც შენ ფიქრობ, როგორ გადაანაწილო ჯიბის ფული შოკოლადსა და იოგურტზე, ისე ფიქრობენ კომპანიები - თავიანთი ფულით აჯობებს მეტი თანამშრომლები დაიქირაონ, თუ ახალი დანადგარები შეიძინონ; შენი ქალაქის მთავრობა კი შეიძლება დაფიქრდეს იმაზე, მის ხელთ არსებული ფულით აჯობებს წელს გზები შეაკეთოს, თუ ახალი სკვერი მოაწყოს?

5 წთ

შეჯამება

მასალა:

არა

- სთხოვეთ მოსწავლეებს, დააკავშირონ ეკონომიკა თავიანთ ყოველდღიურობასთან 1 წინადადებით და გააჟღერონ კლასში.